სახალხო გაზეთი

№ 896 ჭარასკევი, 17 მაისი 1913 წ. № 896

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

გარდაიცვალა გადასახადთა ინსპექტორი თავადი

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **ვეზირიშვილი,**

რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე **ვერა მაკედონის ასული.** პანაშვიდები 17 და 18 მაისს საღამოს 7 საათზედ საკუთარ ბინაზედ, სლეპცოვის ქ., № 3. გამოსვენება კვირას, 19 მაისს, დილის 10 საათზედ კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის სასაფლაოზედ. 287

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვლილ

კონსტანტინე (კოტე) პეტრეს ძე წულაიას

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება **შაბათს, 18 მაისს, ქ. ფოთის** სასაფლაოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე და პანაშვიდი 11 საათზე, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ-დამწვარი **დედა ქვრივი ნატალია** და **და-ძმანი: ნინო, ქეთო და მიხეილ წულაიები** და **ბიძა-ბიცოლები გარდაცვალებულისა.** 1210

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

სამშაბათს, 21 მაისს, ელ. ჩერქეზიშვილის და **ალ. წუწუნავას** მონაწილეობით სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრის სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგ. იქნება: ცნობილი პიესა (გადმოკეთებული **ნინოშვილის რომანიდან**)

ქ რ ი ს ტ ი ნ ე, 4 მოქმედ. ირეთელისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ს. ანკარა, ნ ბადრიძე, გოდერძი, კახელი, თ. ნარაკიძე, ტანელი, პიერეტტ, მ. რომანიშვილი და ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ბარაძე, ნ. გოცირიძე, ვ. მინდიაშვილი, ალ მეტრეველი, გ. სვანელი, რ. სალუყაია, ფრონისპირელი. დ ჩიქოვანი, ნ ჭანკვეტაძე, მ. ქ აურელი, ალ. წუწუნავა და ჯაბაური. **დასაწყის. საღ. 8-ნახევ. ს.** ადგილების ფასი 15—80 კ.

142 გამგე **ალ ბადრიძე.**

გროლის ღიმილი

ლექსები ურითმოდ

ი. გრიშაშვილისა

ორი შაური.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარედაც. 286

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

მორიგი კრება

მოხდება **შაბათს, 18 მაისს, საღამოს 8 ს., სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, სასახლის ქუჩა, სახ. № 6.**

„თავ. რაფიელ ერისთავის შემოქმედება“, კრიტიკული ეტიუდი ი. ვართაგავასი, წაიკითხავს **ა. ჭუმბაძე.** მოხსენებას წარმოსთქვამს **ი. ვართაგავა.** 1204

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოთ.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 — . ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10 1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. მშობ სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 1—1.
ბავშვთა სნეულბ	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 —1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10 — 1. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½— 1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“** და **„914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ ღავათიანი საფასურით. წ. 1035

კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, გაიმართება სეირნობა

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

საზოგადოების გამგეობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება. 1201

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 18 მაისს 1913 წ., სახ. სახლთან არსებულ ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ დამსახურებულ მსახიობ ქ-ნ **ეფ. მესხის** და მსახიობ ზ. **ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

იმედის დალუპვა

დრამა 4 მოქ. გერმან გაიერმანსის, თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გამრეკელი-ტორელი, ეფ. მესხი, თ. ნარაკიძე, პიერეტტა, მ. რომანიშვილი ა, ა. ქიქოძე და ელ. ციმაკურიძე, ბ-ნნი: გ. ანაშვილი, მ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ალ. იმედაშვილი, ა. კავსაძე ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი. ადგილების ფასი 5 კ.— 50 კაპეიკ მდე. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** შემდეგი წარმოდგენა 26 მაისს, წარმოდგენილი იქნება: **„სიახლის ლაქა“.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე ნ. ჭანკვეტაძე. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6 დან 8 საათამდე 1160.

ქართული თეატრი

კვირას, 19 მაისს, შუადღის 2 საათზე,

შალვა ქარუმიძე

წაიკითხავს ლექციას

შემდეგ თემაზე:

„რომის ბატონობა და განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომსა და პროვინციებში“.

ადგილების ფასები დაკლებულია. 1208

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი [illegible] გამოფენაზე 1910 წ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა,

იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთ ხე). **ტელეფ. № 7—93.** 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ 11—1 1/2 ს.

ბ. ა. პოპოკი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11— 1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 —2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2 —3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით

1053

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყოღლანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, **საფოსტო განყოფი.** პირდაპირ. 102

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ვარი პუბლიცისტი მენშიკოვი სწერს ამის თაობაზე ვრცელ წერილს და უცნაური დასკვნაც გამოჰყავს:

„გალიცია ორის ნაბიჯითაა დაშორებული ვენიდან და, მიუხედავად ამისა, ნამესტნიკი ჰყავთ იქ გამწესებული. ნუ-თუ სათაკილო არაა, რომ შორეულს ციმბირში, ესოდენ დაშორებულს პეტერბურგიდან, არა გვყავს ნ მესტნიკი?!“

მენშიკოვი დიდის აღფრთოვანებით ასწერს—როგორი ნამესტნიკია შორეულ აღმოსავლეთში საჭირო, რათა თავიდან ავიცილოთ მწარე 1904 წლისწადილი... ერთია მხოლოდ საკვირველი, ნუ-თუ მენშიკოვს დაავიწყდა, რომ სწორედ იმ „საშინელ დროს“ რუსეთის მთავრობას ჰყავდა იქ სრულუფლებიანი ნამესტნიკი ალექსეევი და რაც მან უშველა რუსეთს ხომ ყველას ახსოვს... ცხოველმყოფელ რეფორმების მაგიერ ნამესტნიკის დანიშვნა—აი სახელმწიფოებრივი სიბრძნე მენშიკოვებისა...

* * *

მაკლაკოვის პროექტს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არც რეაქციონერებმა დააყარეს ხეირი. ცნობილი კონსერვატიული და ულტრა კონსერვატიული გაზეთი „მოსკოვ. ვედომ.“ ასე „აძრობს ტყავს“ ახალ მინისტრის პირმშო შვილს:

„ჩვენთვის უეჭველია რომ, თუ ახალი კანონ-პროექტი განხორციელდა, პრესსის მოღვაწეობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მთავრობის ლმობიერების წყალობით: ინებებს მთავრობა, ისულდგმულებს გაზეთი, არა და უნდა მოისპოს. მაგრამ ეს ხომ კანონი აღარაა?! კანონი უზრუნველ უნდა ჰყოფდეს მკვიდრთა ზოგიერთ უფლებას მაინც; ხოლო თუ სიტყვის თავისუფლება მთავრობის ნებაყოფლობასა ან თვითნებობაზე იქნება მიგდებული, მაშინ ეს კანონი სახელმწიფოებრივი კი არ იქნება, უბრალო პოლიტიკურ ღონისძიებად გადაიქცევა, რომელსაც არავითარი ფასი აღარ ექნება“...

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

15 მაისის სხდომა

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა ჩაირიცხოს: სასახლის სამინისტროსთვის—16.359.595 მ., სახელმწიფო საბჭოს შესანახად—1.979.971 მ., სახელმწიფო კანცელარიისთვის 741.703 მ., ხელმწიფის კანცელარიისთვის—741.703 მ., უმაღლეს სახელზე შეტანილ თხოვნათა კანცელარიისთვის— 530.356 მ., მოულოდნელ ხარჯისთვის 10.000.000 მ.

გოდნევი კითხულობს სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენებას; ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია სამი მილ. 403.935 მან., 439,616 მან. შემცირებით. კომისიის რედაქციაში შესწორებანი შეიტანეს, მაგრამ სათათბირომ კენჭის ყრით უარჰყო შესწორებანი და ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის რედაქციით მიიღო.

სავიცკი. კითხულობს მინისტრთა საბჭოს კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენებას. მთავრობამ ხარჯთ-აღრიცხვისთვის 202,357 მ. ივარაუდა. კომისიამ ეს რიცხვი მიიღო; მომხსენებელმა დასძინა, რომ მთავრობამ მხედველობაში მიიღო მესამე სათათბიროს სურვილი რუსეთის სასანიტარო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

გოდნევი სურვილს გამოსთქვამს, მთავრობამ ღონისძიებანი მიიღოს გახშირებულ თავის მოკვლასთან საბრძოლველად; აგრეთვე დააჩქაროს ადგილობრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება და ამით მოსპოს დამაბრკოლებელი ფორმალისტობა.

სათათბირომ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა.

მინისტრთა ლოჟაში ზის სინოდის ობერ-პროკურორი.

შეინი კითხულობს სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშს. სინოდს ნავარაუდევი ჰქონდა 44,219·759 მან., კომისიამ ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო. მომხსენებელი წინადადებას აძლევს სათათბიროს მიიღოს შემდეგი ფორმულა: 1. სინოდის უწყებამ გამონახოს სხვა წყაროები მის დაწესებულებათა მოხელეთათვის ჯამაგირის მოსამატებლად; სინოდის სპეციალური წყაროები საეკლესიო საჭიროებებს უნდა მოჰხმარდეს. 2. უწყებამ უნდა შემოიტანოს სათათბიროში არა უგვიანეს მეორე სესიისა წინადადებანი მართლმადიდებელ მრევლის მოწესრიგებისა და სამღვდელოებისათვის კრედიტის მომატებაზე. 3. წარმოადგინოს ვრცელი მოხსენება მრევლის ეკონომიურ მდგომარეობაზე, 4. მიიღოს ზომები, რათა საეპარქიო კრებებზე მრევლის წარმომადგენელთა და მნათეების რიცხვი მეტი იყოს., 5. განიხილოს სასულიერო სასწავლებელთათვის საეკლესიო გადასახადების შეგროვების საკითხი; 6. განიხილოს საკითხი ეკლესიების განთავისუფლებისა იმ გადასახადებისაგან, რომლებიც სასულიერო სემინარიებს ჰმართებათ, ნივთიერად უზრუნველჰყოს სასულიერო სემინარიები: განიხილოს აგრეთვე საკითხი სასულიერო სასწავლებლების მოსამსახურეთათვის პენსიის დანიშვნისა.

თავმჯდომარის ადგილი **როძიანკომ** დაიჭირა.

კოვალევსკი არ ეხება ეკლესიის შინაურ ცხოვრებას; იგი აღნიშნავს, რომ მრევლისა და სამღვდელოების შორის ურთიერთობა ნორმალურ მდგომარეობაში არ არის; სასულიერო სასწავლებელნი ვერ იმყოფება კარგ პირობებში. არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი სამღვდელოების ნივთიერი უზრუნველყოფის საკითხი. სასულიერო სასწავლებელნი იმ ნაყოფს არ იძლევიან, რასაც გამოველითო. მათ ნაცვლად ვოსტორგოვის კურსები არსდება. ცოტა უკეთეს პირობებში იმყოფება ბერობა, მაგრამ ეპისკოპოსთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება შეზღუდვილია. შესაძლებელია თუ არა ამ პირობებში სათათბირო დაჰკმაყოფილდეს სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის მდუმარე დამტკიცებით? ნუ დაემდურება უმაღლესი სასულიერო მთავრობა მათ, ვინც ცხოვრებისაკენ ილტვის და სიკვდილს გაურბის, ვინც საკანონმდებლო თაოსნობით სცდილობს დააკმაყოფილოს მორწმუნეთა უუსაჭიროესი მოთხოვნილებანი. სხვაფრივ დახავსებული შენობა დაშლას დაიწყებს და თავის ფრთის ქვეშ ვერ მოუყრის თავს გულწრფელ მორწმუნეთ (ტაში ცენტრში.

ჩხეიძე სახარების ტექსტებს კითხულობს და მათ სამღვდელოების ცხოვრებას ადარებს. მარჯვნით ისმის პროტესტები და ყვირილი: „გააძევეთ, გააგდეთ ნუ ჰგმობს ღმერთსა!“.

თავმჯდომარე სთხოვს ჩხეიძეს დაემორჩილოს მის შენიშვნებს. **ჩხეიძე** ითხოვს მოსმენას. მარჯვნით ძლიე-

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვ. ვრ.“ დრო გამოშვებით მოაგონებს ხოლმე მთავრობას „ყვითელ საფრთხეს“ შორეულ აღმოსავლეთისას და აფრთხილებს: იაპონელები და ჩინელები ენერგიულად მუშაობენ და ირაზმებიან შორეულ აღმოსავლეთის სრულიად დასაფლობლად. ჩვენთვის საშიში მდგომარეობა იბადება და იზრდება იქ, და მთავრობა მოვალეა შესაფერისი ღონე იღონოს რუსეთის პოზიციისა და ინტერესების დასაცველად, „ნოვ. ვრ.“ ს მთა-

რი ხმაურობაა: „აქ ადგილი არ არის სახარების განმარტებისა!“.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს სათათბიროს ნუ ხმაურობს და შეძლება მისცეს მოლაპარაკეს სიტყვა დაასრულოს. ჩხეიძეს სთხოვს ფრთხილად იხმაროს სიტყვები.

ჩხეიძე კვლავ შედარებას განაგრძობს. თავმჯდომარე მოითხოვს წესიერების დაცვას, ბოლოს სიტყვას ართმევს.

სკობელევი რადგანაც სოც.-დემ. მოლაპარაკეების მიმართ ნაკაზი ირღვევა, სოციალ-დემოკრატები დღევანდელ სხდომაზე დასწრებას მეტად სთვლიან.

კერენსკი. ჩხეიძეს არავითარი ღვთის გმობა არ ჩაუდენია; მომხდარი ამბავი ჰმოწმობს დეპუტათა სიტყვის წარმოუდგენელ შევიწროვებას. შრომის ჯგუფიც უერთდება სოც.-დემოკრ. პროტესტს და დარბაზს სტოვებს, მაგრამ,—ძიჰმართავს მოლაპარაკე მემარჯვენებს,—ჩვენ არასოდეს ნებას არ მოგცემთ აქ მჯდომ მოხელეთა ლაქიებო...

საშინელი ხმაურობა აწყვეტინებს მოლაპარაკეს სიტყვას. ტაში მარცხნით

თავმჯდომარე. კერენსკიმ თვის სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა სათათბიროს. ამისთვის წინადადებას ვიძლევი გასდევნოთ იგი სამ სხდომიდან (ტაში მარჯვნივ და ცენტრის ნაწილში).

კერენსკი. გულდამშვიდებით ვიღებ მოძლვნილ სასჯელს, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენელნი შესძლებენ სთქვან ის, რაცა ჰსურთ. (ტაში მარცხნით, მარჯვნით ძლიერი ხმაურობა).

თავმჯდომარე. გთხოვთ ნუ ჰხმაურობთ, უკიდურეს შემთხვევაში ხმაურობის მოხაწილენიც ამავე სასჯელით დაისჯება. (ტაში მარჯვნით და ცენტრის ნაწილში).

168 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 79-სა კერენსკი სამი სხდომიდან განიდევნა.

ძიუბინსკი დეპუტატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში ნაკაზის დარღვევას ჰხედავს.

ჩხეიძე ლაპარაკობს ნაკაზის დარღვევაზე; იგი დასძენს: სოციალ-დემოკრატები სრულიად სამართლიანად სთვლიან კერენსკის კვალიფიკაციას.

თავმჯდომარე. რადგანაც ჩხეიძემ იმიტომ ითხოვა სიტყვა, რომ გაემეორებინა კერენსკის სიტყვა, წინადადებას ვიძლევი ჩხეიძე ორმაგ დანაშაულობის გამო ხუთი სხდომიდან განიდევნოს.

ჩხეიძე ტრიბუნაზე მხოლოდ ჭეშმარიტებასა და ქრისტიანულ სიმართლეს ვამბობდი. ჩემი განდევნა სათათბიროს სინდისის საქმეა.

152 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 75-სა, ჩხეიძე ხუთ სხდომიდან განიდევნა.

ნეკრასოვი. რადგანაც ნაკაზი ჩხეიძისა და კერენსკის მიმართ ცალმხრივად იქმნა მომხმარებელი და არ დაისაჯნენ ის პირნი, რომელნიც ხელს უშლიდნენ ჩხეიძეს სიტყვის თქმას, კადეტები პრეზიდიუმის საქციელს ჰგმობენ და დარბაზს სტოვებენ.

მღ. პოპოვიჩი მეოთხე იმდროს, როდესაც სხვა უწყებებს ასიმილიონობით ეძლევა ფული, სინოდის უწყება მხოლოდ 44 მილიონს იღებს; აქედან 21 მილიონი მანეთი სამრევლო ეკონომის შენახვას ჰხმარდება. მოლაპარაკე აღნიშნავს მართმადიდებელ სარწმუნოების დიდ მნიშვნელობას. სინანულს გამოსთქვამს, რომ სინოდის ხარჯთაღრიცხვაზე მსჯელობს ებრაელი, სოციალისტი, მაჰმადიანი და სექტანტი. ამათ ყველას კრიტიკის უფლება აქვთ. სინოდი სამარცხვინოდ გამოჰყავთ და ფრიად ჰლანძღვენ, სამაგიეროდ ცოტას აძლევენ (ტაში მარჯვნივ).

კარაულოვი ხარჯთაღრიცხვის ყოველმხრივ გასაშუქებლად საჭიროა ყველას აზრი იყოს მოსმენილი. თუ აზრი თავაზიანად არ არის გამოთქმული, ამის განსჯა მხოლოდ თავმჯდომარეს შეუძლიან და არა წევრთა ერთ ჯგუფს. კარაულოვმა ტრიბუნა მიატოვა.

ბევრმა წევრმა სიტყვის თქმაზე უარი განაცხადა.

ლვოვი პირველი მოხსენების ყოველ სიტყვაში, ყოველ ციფრში ნათლად სჩანს, რომ სინოდის უწყების მდგომარეობა არეულ-დარეულია. ერთი საკითხი არაა, რომ შესაფერად განეხილა მას. უწყება უძლურია რაიმე ცვლილება მოახდინოს თვის ცხოვრების მოწესრიგებაში. მთელი მისი ცდა მხოლოდ 17 ოქტომბრის თავისუფლების შეზღუდვისკენ არის მიმართული. სინოდმა სამღვდელოება პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაითრია და მებრძოლი კლერიკალიზმით გამსჭვალა. ყოველივე სამღვდელოების ავტორიტეტს ფასს უკარგავს.

ტარუტინი. როგორც გლეხთა წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათ, ვინც გლეხობას ხულიგანობას უსაყვედურებს ავიწყდებათ, რომ იგინი მოკლებულნი არიან სწავლა-განათლებას; სამრევლო სკოლებს გლეხებისთვის სარგებლობა არ მოაქვს.

ოქტომბრისტებს წინადადება შეაქვთ, სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა პარასკევისთვის გადაიდოს.

ანტონოვი იცავს ამ წინადადებას და დასძენს, რო მომხდარ ინციდენტის შემდეგ შეუძლებელია დამშვიდებით განიხილონ საკითხი.

მარკოვ მეორე, ბალაშოვი, ლვოვი მეორე და ზამისლოვსკი ამ აზრის წინააღმდეგნი არიან. სათათბირომ ხმის უმეტესობით ოქტომბრისტთა წინადადება უარჰყო.

კენჭს უყრიან მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულას.

წაიკითხეს პროგრესისტთა ფორმულა. ფორმულაში აღნიშნულია, რომ სინოდის მოქმედება ხიფათს უმზადებს სახელმწიფოს და ეკლესიასაც, იგი უღონოა ქრისტიანული შემოქმედებითი მუშაობა აწარმოვოს.

ობერ-პროკურორი ლაპარაკობს პროგრესისტთა ფორმულის წინააღმდეგ. სინოდი გულწრფელად მოწადინებულია თვის მოქმედებაში სიცოცხლე შეიტანოს, ურომლისოდაც არც ერთ. ეკლესიას არ შეუძლიან არსებობა. ჰსურს აგრედვე მტკიცე ნადაგზე დააფუძნოს სამრევლო სკოლების საქმე. სინოდის გამომცემლობითი მოქმედებაც უნდა გაფართოვდეს. როდესაც ასეთი შეუჩერებელი მუშაობა სწარმოებს, სინოდის მიერ მიმართული ბრალდებანი საფუძველს არის მოკლებული. (ტაში).

სათათბირომ საბიუჯეტო კომისიის ფორმულა მიიღო ოქტომბრისტთა შესწორებით.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წვიმა და ნიაღვარი.** 15 მაისს, საღამოს, ტფილისში საშინელი წვიმა მოვიდა. წვრილი წვიმა დაიწყო საღამოს 9 საათზე და გასტანა ათ საათამდე. შემდეგ კი წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც საათზე მეტს გასტანა და ქალაქის ქუჩები უშველებელ მდინარებად აქცია. ნიაღვარმა ქალაქს დიდი უბედურება დაატეხა თავსა: წყალი მცხოვრებთ სახლში შეეჭრა, სარდაფები ამოავსო, ტრამვაის მოძრაობა დროებით შეაჩერა და მრავალი ქუჩა გადასილა. ამ ღამით მეხიც ჩამოვარდა და ქართულ თეატრის შენობას დაეცა, თუმცა საგრძნობი ზიანი არ მიუყენებია, რადგანაც მეხის წინააღმდეგ წინადვე ღონისძიებანი იყო მიღებული. გუშინ მტკვარმა ნიაღვრების გამო სამი არშინით მოიმატა. კოკისპირული წვიმა მოვიდა გუშინ შუადღისასაც წვიმამ საათ ნახევარს გასტანა, შემდეგ კი კარგი დარი დადგა. ნიაღვარმა სად და ვის რა ზარალი მიაყენა, ჯერ გამოურკვეველია. განსაკუთრებით დაზარალდნენ რიყისა, ორთაჭალის და ავჭალის ქუჩის მცხოვრებნი.

◆ **ბათომში გაემგზავრნენ** გუშინ ეგზარხოსის ხორო, სიონის საკათედრო ტაძრის კრებული და მთავარდიაკონები კ. კარგარეთელი და ნ. სლატკოპევცოვი. იქვე გაემგზავრება დღეს საქართველოს ეგზარხოსი, რომელიც 19 მაისს ართვინში სამხედრო ტაძარს აკურთხებს.

◆ **მუშტაიდზე ქუჩის გაყვანის** საკითხი საბოლოოდ განსახილველად მიწათ მოწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიას გადაეცემა ამ დღეებში.

◆ **ტფ. საბოტანიკო ბაღში** ახალ შენობას აგებენ, რომელშიაც უნდა მოთავსდეს მუზეუმი, სხვა და სხვა მანქანა და სპეციალისტთა ექვსი კაბინეთი. შენობის კედლები უკვე აგებულია. მთელის შენობის დასრულების იმედი 15 აგვისტოსთვის აქვთ.

◆ **საბირჟო კომიტეტი** დაეძებს სპეციალისტს, რომელსაც არყის ქარხნის საქმე ესმის ასეთი სპეციალისტი საჭიროა აკოფ ავაკიანცისთვის, რომელსაც განუზრახავს, დაარსოს თავრიზში არყის ქარხანა.

◆ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას** 26 მაისს გასამართ სეირნობისათვის შემოსწირეს: (ეკატერინე და ელენე კარიჭაშვილების ხელით) 1) მარიამ კვიჟინაძემ—საკარაქე თავის თეფშით, 2) ნინო ლოლაძემ: შუშის ვაზა, ერთი ცალი ხელის საპონი, ერთი კოლოფი კბილის სახეხი, აბრეშუმის ცხვირსახოცი და ერთი წყვილი ნაქსოვი არშია, 3) თამარ ქაჩუხაშვილმა — ფინჯანი თავის ლამბაქით; 4) ელენე კარიჭაშვილმა: საწერელი, კედლის ნაქვთიანი თეფში და ერთი შანდალი; 5) ვანო ჩქარეულმა 12 ცალი საყელო და საკალმისტარე; 6) ძმებმა მკერვალიშვილებმა—12 ნაჭერი ბოდლოს საპონი; 7) ვანო იაშვილმა—ტანისამოსის ჩოთქი; 8) ბაბაჯანოვმა—ერთი კოლოფი ირისი; 9) მარიამ ლოლაძემ: სურათი; 10) ნ. ნ ქუთათელაძემ ერთი მანეთი.

◆ ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებული უფასო სასადილოს სასარგებლოდ შემოსწირეს: 1) ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ—100 მანეთი; ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა (ი. ს. ჯაბადარის გვირგვინის მაგიერ)—65 მანეთი; კნ. ვ. ტ. ბებუთოვისამ—7 მანეთი, თავ. თამაზ და ირაკლი ორბელიანებმა —10 მანეთი და უცნობმა—10 მანეთი. ყველა ამ შემომწირველთ კომიტეტი უღრმესს მადლობას სწირავს.

◆ **მეხილეობა.** ამიერ კავკასიის მეხილეთა საზოგადოების ცნობით ბოლო ხანს შესამჩნევად ვითარდება მეხილეობა გორისა და დუშეთის მაზრაში. ეს ორი მაზრა იმითაც არის შესანიშნავი, რომ სულ იქ არის მოგროვილი მთელის ამიერკავკასიის კერძო სანერგეები. საზოგადოებას მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი ჰყავს, მეხილეობას კი—მრავალ ადგილას მისდევენ. რათა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ინსტრუქტორის მოქმედება, ამიტომ საზოგადოებას იგი უმუშავებია 1912 წელს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში, სადაც უფრო მეტად არის განვითარებული მეხილეობა. ინსტრუქტორს უმოქმედნია საზოგადოების მიერ მიცემულ ინსტრუქციის თანახმად. ინსტრუქტორს დავალებული ჰქონდა: 1) შეესწავლა მეხილეობის ახლანდელი მდგომარეობა და აეწერა იგი, 2) შეედგინა ვრცელი სასტატისტიკო ცნობები მეხილეობის შესახებ და 3) აეწერა მეხილეობისთვის ხეხილების ავადმყოფობანი და ეჩვენებინა ღონის-ძიებანი მის წინააღმდეგ. წელს აზრად აქვს საზოგადოებას, კიდევ ერთი მუდმივი ინსტრუქტორი მოიწვიოს.

◆ **საყინულეთა მოწყობის საქმის** წესიერად დასაყენებლად განზრახულია: 1) დაარსდეს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან საყინულეთა მომწყობი მუდმივი თავისუფალი კომიტეტი, ან არა და საგანგებო კომისია პირველ ხანად, 2) ეთხოვოს სახელმწიფო ბანკს საკმარისი სესხი, რომელიც მიეცემათ სოფლის მეურნეებს გრილ საწყობების გასამართავად და 3) აღიძრას შუამდგომლობა, რათა იმ სანოვაგე-სურსათის დროზე გაგზავნის საქმე, რომელიც ჩქარა ფუჭდება. წესიერ კალაპოტში ჩააყენოს და ზოგიერთ სადგურზე გრილი საწყობები იქონიოს.

◆ **ფულის გამოტაცება.** გუშინ სახელმწიფო ბანკის კასიდან 100 მან. მიიღო სიდონია იოსების ასულმა ღველაშვილმა, რომელსაც უცებ მივარდა ვიღაც უცნობი, ფული გამოსტაცა და გაიქცა. უცნობი ქუჩაში შეიპყრეს და აღმოჩნდა ვინმე ველლიერი, რომელსაც ზედ მხოლოდ 50 მან. აღმოაჩნდა.

◆ **ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება** თავის ინსტრუქტორს ტროფიმოვს ჰგზავნის საქონლის გამოფენაზე, რომელიც გუმბრში იმართება. გამოფენაზე ფრინველთა განყოფილებაც იქნება.

◆ **ა. ხ. როლლოვი,** ტფ. საბოტანიკო ბაღის დირექტორი, რომელიც ბათომსა და ქუთაისში იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ **მიწების მორწყვის საქმე.** ინჟინერ-ჰიდრავლიკმა ნ. ვ. ფონდერვიზმა მეფის მოადგილის თანაშემწეს სენატორს ვატაცის საინტერესო მოხსენება წარუდგინა, რომელიც შეეხება იმ ადგილების მორწყვას, სადაც მებამბეობას მისდევენ.

◆ **ხორცის ნიხრის დარღვევისთვის** სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ლომიძემ გუშინ ექვს ყასაბს შეუდგინა ოქმი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ვაჭართა საზოგადოების** წევრთა კრება 19 მაისისათვის არის დანიშნული.

◆ **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** გამგეობის თავმჯდომარის არჩევა შემოდგომისათვის გადაიდო. ამ თანამდებობაზე საზოგადოების წევრთა ერთი ჯგუფი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მოხელეს ს. ო. გულიშამბაროვს ასახელებს, რომელმაც თანხმობა უკვე გამოაცხადა.

◆ **ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მეცამეტე კრება** დაიწყება 16 ივნისს. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ 6,000 მან. გადასდო კრებასთან სამეცნიერო-სამრეწველო გამოფენის გასამართავად.

◆ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** საბჭოსი და გამგეობის წევრთა შეერთებული კრება დანიშნულია 18 მაისისთვის, საღამოს 6 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში. კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი: იყიდოს თუ არა საქართველოს სასისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან მიწა, რომელიც ვაკეში მდებარეობს.

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურთ 26 მაისისთვის დანიშნულ სეირნობის გამართვაში მონაწილეობის მიღება, მობძანდნენ წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში დღეს, 17 მაისს, საღამოს 6 საათზე, მოსალაპარაკებლად.

სასწავლებლებში

◆ როგორც ყალამშიის ქართული სკოლის გამგე გრ. მაჭავარიანი გვატყობინებს, ყალამშიის ქართული სკოლის ახალ შენობას აკურთხებენ კვირას, 19 მაისს.

◆ **ვაჟთა პირველ გიმნაზიაში** მერვე კლასის მოსწავლეთა ეგზამენს სამღვთო სჯულისას 15 მაისს დაესწრნენ ერევნის ეპისკოპოსი პიმენი და სომეხთა საეპარქიო უფროსი ეპისკოპოსი მესროპი.

სომეხთა ცხოვრება

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 15 მაისს მოხდა ექიმ ნავასარდიანის თავჯდომარეობით. კრებამ მოისმინა საზოგადოების 1912 წლის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს შემდეგი: საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი 209,856 მან. 34 კ. ამაში ტფ. საზოგადოების შემოსავალი ყოფილა 183,126 მან. 97 კ დანარჩენი-საზოგადოების 42 განყოფილებისა.

სასამართლო

◆ **„წითელი ოთახი“-ს** შესახებ წერილების დაბეჭდვისათვის სამართალში იყო მიცემული ჟურნალისტი ლევან ყიფიანი. საქმე მანიფესტის ძალით სასამართლომ მოსპო. ბრალდებულმა სასამართლოს სთხოვა, არ მსურს მანიფესტით ვისარგებლო და ამიტომ საქმე გაარჩიეთ და თუ გავმტყუნდე კანონიერად დამსაჯეთო. სასამართლომ ლ. ყიფიანს ფორმალურ მიზეზის გამო უარი უთხრა: საქმის ხელ-ახლად აღძვრის ვადა გასულიაო.

სიღნაღი

◆ **ს. ჭოტორში** (სიღნაღის მაზრა) სკოლა დაარსდა რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად. სკოლას ინახავს სოფლის საზოგადოება, ეხმარება ხაზინაც.

ქუთაისის ამბები

თავად-აზნაურნი უკვე შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს. იმართება კერძო კრებები საგუბერნიო მარშლის კანდიდატის დასასახელებლად. კაცებს ეძებენ შინაც და გარეთაც. შინაურებში კვლავ წამოყენებულია თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძის კანდიდატურა, ეხლანდელი მარშლის თ-დი ფარსადან მიქელაძის, თ-დი პეტრე წერეთლის და სხვა, ხოლო ქუთაისში არ მყოფთაგან ასახელებენ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ წევრს თ-დ პროკოფი შარვაშიძეს და თ-დ ივანე ნაკაშიძეს. ეჭვი არ არის რომ ასეთი მრავალრიცხოვანი სია კანდიდატებისა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, შემცირდება და ორი ან ერთი კანდიდატი დარჩება.

⁂

საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრების საქმეც გამოურკვეველია. თავად-აზნაურთა რწმუნებულები წელს უნდა აირჩეს. მათვე უნდა მიიღონ მონაწილეობა ბანკის რწნუნებულთა კრებებში. 25 ამ თვეს იწყება თავად-აზნაურთა კრებები და შესაძლებელია 31 მაისამდის ვერც

ეროვნული საკითხი

თავი I*)

ისტორიული მიმოხილვა

1

ციმბირი

რუსეთში მცხოვრებ ერთა ეროვნულ მოძრაობას რომ ზედა-პირულადაც გადაავლოთ თვალი, ერთი თვალსაჩინო გარემოება მიიქცევს თქვენს ყურადღებას. იმ დროს, როდესაც რუსეთში სასტიკი რეაქცია იყო გამეფებული და ყოველი ცოცხალი ნაბიჯი, ყოველი გამოხატულება თვითმოქმედებისა ძირშივე ისპობოდა, ეროვნულ მოძრაობასაც უკიდურესობის ბეჭედი ესვა. ეს მოძრაობა მასსიური არ იყო, ე. ი. ფართო მასსა მასში დიდს მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ის მცირე ეროვნული ჯგუფები, რომელნიც ეროვნულ ინტერესების დასაცველად ილვწოდნენ, რადიკალურადა სწყვეტდნენ საკითხსა და ძალიან ხშირად სეპარატიზმს, რუსეთის სახელმწიფოსაგან სრულს გამოყოფვას, ჰქადაგებდნენ. პოლიტიკური რადიკალიზმი ლოღიკური შედეგი იყო სასტიკი პოლიტიკური რეჟიმისა.

არავისა ჰქონდა იმედი, რომ რუსეთი ერთხელაც არის თავს დააღწევდა შავ-ბნელ რეჟიმს და დაამყარებდა სამოქალაქო ცხოვრების თავისუფლებას, ეროვნული განვითარების ერთად-ერთს მტკიცე გარანტიას. იმისდა მიხედვით, რაც იზრდებოდა განმანთავისუფლებელი მოძრაობა და რუსეთის საზოგადოებას წინ ეშლებოდა თვალწარმტაცი პერსპექტივა საერთო განთავისუფლებისა, ეროვნულ მოძრაობასაც ფერი ეცვლებოდა, იგი ნაკლებ რადიკალური ჰხდებოდა, მაგრამ ამასთანავე ერთად უფრო ინტენსიური და დაჟინებითი. თან და თან ფართო მასსაც მონაწილე ჰხდებოდა ეროვნული მოძრაობისა და შეგნებულად იზიარებდა ეროვნულ იდეალებსა და იმედებს. ნიადაგი ეცლება სეპარატიზმს და იმის ადგილს იჭერს ავტონომისტური და ფედერალისტური მოძრაობა. ვერც საერთო პოლიტიკურმა აღფრთოვანებამ მოსპო ეროვნული მოძრაობის სიძლიერე. მან მხოლოდ ცხადჰყო, რომ შეუძლებელია რუსეთის ერთა ეროვნული განვითარება გარეშე რუსეთის საერთო განთავისუფლებისა. მხოლოდ რუსეთის საერთო უფლებრივ წესწყობილებას შეუძლიან უზრუნველჰყოს თავისუფლება თვითოეულ ერისა. მაგრამ ამას თვით ეროვნული მოძრაობა სრულიადაც არ გაუნელებია. პირიქით, პოლიტიკურმა თავისუფლებამ ცხადჰყო ის, რაც აქამდის დაფარული იყო, აშკარა გახადა სხვა და სხვა ერთა ეროვნული პრეტენზიები.

თუ ისტორიის მაგალითი რასმე ნიშნავს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს პროცესსი ერთს წერტილზე არ გაიყინება, გაღრმავდება თავისი შინაარსით და უფრო ინტენსიური, ძლიერი გაჰხდება. შეიცვლება ეროვნული მოძრაობის ფორმებიც. შავბნელ რეაქციის დროს აზრი მარტივადა მუშაობდა და ეროვნულ საკითხსაც სრულიად უბრალოდა სწყვიტავდა. რუსეთში ეროვნული კულტურის თავისუფლი განვითარება შეუძლებელია. ამიტომ, ვისაც თავისი სამშობლო უყვარს და არ უნდა რუსეთის რეაქციონურ სტიქიონს დაემორჩილოს, უნდა ჩამოშორდეს რუსეთს, ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნას. მხოლოდ შემდეგში შეიცვალა ეს მარტივი აზროვნება, მაშინ, როდესაც აღმოჩნდა, რომ რუსეთშიაც შესაძლებელია უფლებრივი წესწყობილების დამყარება. ასე იცვლებოდა ფსიხოლოგია არა მარტო პოლონეთისთანა ქვეყნებში, არამედ ციმბირშიაც კი, სადაც ერთს დროს დაიბადა სეპარატისტული აზრები და ეხლა კი საკმაოდ ღრმადა აქვს გამჯდარი ფესვები ავტონომისტურ მოძრაობას. ასეთია საერთო ხასიათი ეროვნული მოძრაობისა. რომ უფრო ცხადი და ნათელი გახდეს ჩვენთვის, თუ როგორ უნდა გადასწყდეს ეროვნული საკითხი საზოგადოდ და ჩვენში—კერძოდ, მეტად არ მიგვაჩნია მოკლედ გავეცნოთ ეროვნულ მოძრაობას რუსეთში მცხოვრებ ზოგიერთ ერებისას. მაშინ ცხადად გამოჩნდება, რომ ეროვნული საკითხი რამდენიმე მეოცნებე ინტელიგენტის მოცლილი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, იგი ფაქტია, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ არ გვინდა რუსეთის მომავალი ეროვნული ბრძოლის ჩაუქრობელ ცეცხლის ალში გავხვიოთ.

დავიწყოთ იმავ ციმბირიდან. ციმბირი ბევრს ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს იგი იყოს ისეთი ნაწილი რუსეთის იმპერიისა, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული ინტერესები და მოთხოვნილებანი არა აქვს. ჩვენი საზოგადოება სწორედ ციმბირის ეროვნულ და ავტონომისტურ მისწრაფებას იცნობს ყველაზე ნაკლებად. ნამდვილად კი ციმბირი ავტონომისტურ წეს-წყობილებას ითხოვს თავისთვის, ჰყავს თავისი მწერლები, აქვს პუბლიცისტიკა, სახელმწიფო სათათბიროშიაც ყოველთვის ჰგზავნიან ისეთს დეპუტატებს, რომელნიც ადგენენ ციმბირის დამოუკიდებელ ჯგუფს და მიზნად ისახავენ ციმბირის ადგილობრივ საკითხების გაშუქებას და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამიტომაც ცოტა დაახლოვებით გაცნობა ციმბირის ავტონომისტურ მოძრაობისა ცუდი არ უნდა იყოს ჩვენი მკითხველებისათვის.

ციმბირი უზარ-მაზარი ნაწილია რუსეთის იმპერიისა, 12 მილიონი კვადრატიული ვერსი უჭირავს. ციმბირის მცხოვრებლები ორ კატეგორიად განიყოფებიან; არიან ადგილობრივი მკვიდრნი, ეგრედ წოდებული „ინოროდცები“ და ევროპის რუსეთიდან გადასახლებული რუსი კოლონისტები, რომლებმაც ისტორიულ მსვლელობის პროცესში განსაკუთრებული ხასიათი მიიღეს და თავიანთი განსაკუთრებული კულტურა შეჰქმნეს. რუსების გადასახლება ციმბირში განსაკუთრებით გლეხთა განთავისუფლების შემდეგ დაიწყო*) ამ ხანიდან დაწყებული რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან ზოგი თითონ მიდიოდა ციმბირში, ზოგს მთავრობა ასახლებდა. ყველა ამათ შემდგომ დასჯილები ემატებოდნენ. ციმბირის სასტიკი ბუნება გადასახლებულებს აკაჟებდა და ბუნებასთან საბრძოლველად კარგად ამზადებდა. ამან შეიმუშავა განსაკუთრებული ტიპი ციმბირელისა, რომელიც, ერთის მხრით, თავისუფლად სცხოვრობდა, მებატონეთა მძიმე უღელს არ ატარებდა, მეორეს მხრით ეჩვეოდა თვითმოქმედებას სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში. ასეთია ხასიათი ციმბირელისა, რომლის ტიპიც ეხლა ევროპის რუსეთის მცხოვრებთ აღარა ჰგავს. გარდა ამ განსაკუთრებული ტიპის რუსებისა ციმბირში სცხოვრობენ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც ნელი-ნელა პირველ-ყოფილ წყვდიადს თავს აღწევენ. ყველაზე მეტი ინოროდცები სცხოვრობენ ტობოლისა და ტომსკის გუბერნიებში, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვაგანაც არიან. უმეტეს ნაწილს „ინოროდცებისას“ ისინი შეადგენენ, ვინც საქონელის მოშენებას მისდევს და განსაკუთრებული ბინადრობა არა აქვთ. ამათ რიცხვს 837.501 სული შეადგენს. გარდა ამისა, არიან სხვებიც, რომელნიც მესაქონლეობას მისდევენ და ზემოდ დასახელებულ კატეგორიას ეკუთვნიან. ამათში ჯერ კიდევ დაცულია პატრიარქალური წეს-წყობილება. ესენი **ყირგიზები** არიან. ყირგიზების მეზობლები **ალტაელები** არიან, რომელთა რიცხვიც, თუ მათ **ტელეგინტებსაც** მიუმატებთ, იქნება 29.5591 სული. ციმბირის ტომთა რიცხვს ეკუთვნიან **იაკუთები, ბურიატები, ყარაგასები, სამოედები, კორიაკები, გილიაკები** და მრავალი სხვა ინოროდცები, რომლებიც განსაკუთრებულ ეთნოგრაფიულ ერთეულებს შეადგენენ და თავისი განსაკუთრებულ ცხოვრებითა სცხოვრობენ.

ზოგიერთი ამ ტომთაგანი სწყდება, მაგრამ ზოგი სიცოცხლის ნიშანწყალს იჩენს და იმედს გვაძლევს, რომ ისინი კი არ გაჰქრებიან, განვითარდებიან და კულტურული ცხოვრების მოზიარენი გაჰხდებიან. როგორც ეტყობა, მოწინავე ნაწილი ციმბირის საზოგადოებისა სწორედ ასე უყურებს ციმბირის ინოროდცებს და მედიდურად კი არ დასცქერის „დაბალი მოდგმის“ ტომებს, არამედ ანგარიშს უწევს მათ და ჰსურს იმათთვისაც ისეთი პირობები შეჰქმნას, რომ მათი ინდივიდუალური სახე არ დაიკარგოს.

ციმბირში კარგა ხანია დაიწყო დეცენტრალისტური მოძრაობა.**) მესამოცე წლებში, ე. ი. სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენშიაც იღვიძებდა საზოგადოებრივი ცხოვრება, იადრინცევის მეთაურობით ჩნდება ციმბირის პუბლიცისტიკა და იბადება ციმბირის პატრიოტიზმის გამომხატველი პერიოდული გამოცემანი. იადრინცევმა მრავალი საოლქო საკითხი აღძრა და მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მეტროპოლიამ ციმბირი მხოლოდ უწყალო ექსპლოატაციის წყაროდ გადააქცია. იადრინცევის დროსვე გაჩნდნენ ბელლეტრისტები.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 895.

*) იხ. „Сибирь, ея совр. сост. и нужды“, დ. კლემენცის წერილი.

**) იხ. „Сибирь“, გ. ნ. პოტანინის წერილი „Нужды Сибири“.

კი მოხდეს რწმუნებულთა არჩევნები. ამ დღეს კი უნდა გაიხსნას ბანკის რწმუნებულთა კრების სესია. ერთხანად ფიქრობდნენ, რომ თავადაზნაურნი რწმუნებულთა კრებისავე დასაწყისში აირჩევენო და მერე მიმდინარე საქმეების განხილვას შეუდგებიანო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კანონით არჩევნები და მათ შორის რწმუნებულებისაც უკანასკნელად უნდა მოხდეს ისე, რომ თუ თავადაზნაურთა კრებები 31 მაისამდე არ გათავდა, არავინ იცის ვინ მიიღებს ბანკის კრებებში მონაწილეობას—ძველი თუ ახალი რწმუნებულნი.

* * *

ქუთაისის საზოგადო საკრებულოს ბინის მახლობლად გავიარე, შესავალიდან მარცხნივ და მარჯვნივ რუსულ ენაზე დაწერილი აფიშებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება ვიფიქრე შორიდან მოსული იქნება მეთქი და გადავიკითხე აფიშები. ნამდვილად წარმოდგენა თვით საკრებულოსი აღმოჩნდა. თურმე ნუ იტყვით, რუსულად დაბეჭდილი აფიშები ქართველ საზოგადოებას ქართულ წარმოდგენაზე იწვევდა. ნეტავი გამაგებინა—ეს ორიგინალობაა, თუ საკრებულოს მამასახლისთა შორის ისეთი ვერავინ აღმოჩნდა, რომ აფიშის ნახევარი მაინც შეედგინათ ქართულს ენაზე?!

* * *

ქართული გიმნაზიის მზრუნველმა, თანახმად სამასწავლებელო ოლქის მზრუნველის განკარგულებისა, რომ თითო კლასში მოსწავლეთა რიცხვი 40 კაცს არ აღემატებოდეს, გადასწყვიტა, პირველსა, მეორესა, მესამე და მეოთხე კლასებს ან მეორე პარალელები გახსნას მომავალი ენკენისთვიდან.

ამავე კომიტეტმა ყოფილ მასწავლებელს სვ. ქვარიანს, გიმნაზიაში 6 წლის სამსახურისთვის, 6 თვის ჯამაგირის მიცემა გადაუწყვიტა.

* * *

ქალაქის სასანიტარო და სამკურნალო კომისიამ ქალაქის გამგეობის თანადასწრებით ქალაქის სავადმყოფოს გამგედ ექიმი ნემსაძე აირჩია.

* * *

თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე 12 მაისს ბჭობა ჰქონდათ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის კანდიდატის შესახებ. შეთანხმება კანდიდატის შესახებ არ მოხდა, თუმცა უმრავლესობას კანდიდატად დასახელებია თ-დი ივანე ნაკაშიძე.

ე. ხ. კ.

თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება

(12 მაისის კრების დასასრული)

ა. ყანჩელი. ხელშეკრულობის დამტკიცების მომხრეებმა სამი დებულება წამოაყენეს. გრ. რცხილაძე ამბობს, თუ ხელშეკრულობას არ მივიღებთ, თავად-აზნაურობამ 550 ათასი მანეთი უნდა ზღასო. ამას რცხილაძე იმ იურიდიულ მოსაზრებაზე ამყარებს, რომ ხელშეკრულობა იურიდიული აქტია გაყიდვის შესახებ. ამით კრება არ უნდა შეშინდეს. ეს—დამატებითი ხელშეკრულობაა და არავითარ სხვა საგანზე ლაპარაკი არ შეიძლება. უმთავრესი ხელშეკრულება კი არის ვალდებულების უფლება და არა აქტი რაღაც გაყიდვისა. შეიძლება მხოლოდ ზარალი ვუზღოთ. ხელშეკრულობის ახლად მოვლენილი მომხრე თავ. ი. აფხაზი, ამბობს რომ ხელშეკრულება უკვე მიღებულიაო. ჩვენ აქ შეკრებული ვართ საბოლოვოდ განსახილველად და მისაღებად. დღევანდელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი საბოლოვოდ. მესამე მოსაზრება იურიდიული „ბურუსია“. ვურჩევ საზოგადოებას ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

თავმჯდომარე. წარმოდგენილი გაქვთ, როგორ შეუძლიან საზოგადო კრებას გამოერკვეს ამ ბურუსიდან?

ა. ყანჩელი. „მე ვეცდები გავარკვიო და აუხსნა საზოგადოებას ეს არევ-დარეული იურიდიული საკითხი“. ორატორი დაწვრილებით ლაპარაკობს იმაზე, რომ რომელიმე დაწესებულებას ნოტარიუსის მიერ შეუმოწმებელი მინდობილობის ქაღალდი შეუძლიან მისცეს მხოლოდ თავის მოსამსახურეს და არა გარეშე პირსა. მაგალითად დეპუტატთა საკრებულოს შეეძლო მინდობილობა თავ. მ. ჭავჭავაძისათვის გადაეცა, რადგან იგი თავად-აზნაურობის სამსახურშია და დ. გურამიშვილი კი—არა. ამის გამო ეს რწმუნებულობა იურიდიულის თვალსაზრისით უკანონოა. დ. გურამიშვილს არა ჰქონდა ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული მინდობილობის ქაღალდი. ბოლოს ორატორი ეხება თვით ხელშეკრულობას და ამბობს: „შეიძლება ამ ხელშეკრულობის მიღება იმდენად ხელსაყრელია თავად-აზნაურობისათვის, რომ თვალი უნდა მოვარიდოთ ყველა უკანონობას და უნდა დავამტკიცოთ? ხელშეკრულობის მიღებით ყველა თქვენი უფლება, როგორც რკინის გზის პატრონ-ბატონისა, კვამლივით გაჰქრება. საქმე ის კი არ არის, საკითხი დავაბნელოთ, არამედ ნათლად წარმოვიდგინოთ შედეგების სურათი“. წესდებიდან მოჰყავს რამდენიმე მუხლი და ამტკიცებს, არავინ ნებას არ მოგვცემს სასურველ მოსამსახურეების დანიშნისას და სხვა. საჭირო არ არის ახალი ავანტიურების გაწევა; არ უნდა დავასუსტოთ თავად-აზნაურობის მატერიალური კეთილდღეობა.

თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა, ორატორების სიაში დღეს მეტი არავინ ჩაეწეროს, რადგანაც უკვე ექვსი კაცია ჩაწერილი. კრების უმრავლესობამ მოისურვა კრების გადადება. ამიტომ კრება დაიხურა საღამოს 3 საათსა და 40 წუთზე.

14 მაისის კრება.

კრება გახსნა **თავ. კ. აფხაზმა** ნაშუადღევის 1 საათსა და 20 წ. საკრებულოს მდივანმა **ი. ზურაბიშვილმა** წაიკითხა წინა კრების ოქმები, რომელიც იმდენად სიტყვა-სიტყვით იყო ჩაწერილი, რომ საზოგადოებაში ტაშის კვრა გამოიწვია.

თავ. **კ. აფხაზი.** დასმულია გადასაწყვეტად საკითხი, მივიღოთ თუ არა ხელშეკრულობა. ორატორებსა ვსთხოვ მხოლოდ ამ საგანზე ილაპარაკონ.

კ. სვიმონაშვილი. კ. თულაშვილს შემოტანილი აქვს თავისი განსაკუთრებული მოსაზრება, გთხოვთ გამოაქვეყნოთ.

თავმჯდომარე ეკითხება თავ. თულაშვილს სურს თუ არა. იმის თანხმობის შემდეგ მდივანი კითხულობს. სიტყვა მიეცა თავ. **ლ. დიასამიძეს,** რომელიც ამტკიცებს, რომ გზა საჭიროა, რადგანაც მცხოვრებთა კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას ხელს უწყობს. მოსამსახურეებზე ლაპარაკი საკითხს სრულიად აბნელებს. ეს ამ გზის ხელში ჩაგდების მიზანი არ არის. ა. ყანჩელის განცხადება კრიტიკას ვერ იტანს. გზა საჭიროა, ამის დასამტკიცებლად ორატორს მოჰყავს მთელი რიგი მოსაზრებისა; შემდეგ ორატორი გადადის იმაზე, შეუძლიან თუ არა თავად-აზნაურობას უტკივილოდ შეასრულოს ის ფინანსიური გეგმა, რომელიც გამოწვეულია ამ ხელშეკრულობის მიღებით. ორატორი ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია. შეიძლება თუ არა შეუშინდეთ ხელშეკრულობასა. ამბობენ აქციებს მოუმატებენო. ამას არ უნდა შეუშინდეთ, რადგან აქციები ისე დიდი თანხის არ იქნება და მეორეც უთქვენოდ არ შეუძლიანთ ამის ჩადენა. საჭიროა ხელშეკრულობის მიღება, მხოლოდ შეიძლება ფინანსიური გეგმა სპეციალურ კომისიას განსახილველად გადაეცეს. სიტყვა მიეცა თავ. **დ. გურამიშვილს.** ნება მიბოძეთ წინდაწინვე ბოდიში მოვიხადო თუ კრებას ყურადღებას ცოტათი დავღალავ. თუ დღეს მე აქ გამოვდივარ სალაპარაკოდ ამ საკითხის შესახებ, არა იმიტომ რომ მე ვხელმძღვანელობდე სურვილით დავიცვა ჩემი პიროვნება, არამედ იმიტომ რომ ნათელვყო საკითხი იმ ძვირფასს საქმისა, რომლის გულისათვისაც ჩვენ ამოდენი ვიფიქრეთ და ვიწვალეთ. გაკვრით შევეხები მცირე საკითხებს, მქონდა მე რწმუნებულობა თუ არა, ან და ჰქონდა ამის უფლება დეპუტატთა საკრებულოს თუ არა“.

ორატორი კითხულობს რწმუნებულობის ქაღალდსა და საზოგადო კრების დადგენილებას.

„ამრიგად მე გავემგზავრე პეტერბურგს იმ რწმენით, რომ რწმუნებულობა სწორი იყო. ბანკმა ეს რწმუნებულობა კანონიერად ჩასთვალა. მე დავბრუნდი ტფილისს: აქაც ვინც მე მერწმუნა, მანაც მიიღო ეს.

ა. ყანჩელი. „მრწმუნებელი ჩვენა ვართ“.

თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს ა. ყანჩელს და სთხოვს, ორატორს ნუ შეაწყვეტინებს სიტყვას.

თავ. **გურამიშვილი.** თავდაპირველი მრწმუნებული თქვენ იყავით, მაგრამ თქვენი სრული უფლებით აღჭურვილი რწმუნებული იყო დეპუტატთა საკრებულო, რომლისაგანაც მე რწმუნებულობა მივიღე. ამის შემდეგ მოდის მეოთხე ელემენტი და გვეუბნება, რწმუნებულობა უკანონოაო. როგორ შეიძლება რწმუნებულობა უკანონო იყოს; თუ კი იგი მიიღო ჩემმა მრწმუნებელმა, რწმუნებულმა და კონტრაგენტმა, რომელთანაც რწმუნებულმა ხელშეკრულება დასდო? მაგრამ, აქ გვეუბნებიან, რომ ჩემი რწმუნებულობის რედაქცია არ ეთანხმება დეპუტატთა საკრებულოს 7 თებერვლის სხდომის ოქმის რედაქციას. მე არ ვიცი, შეიძლება ეს ასეც იყოს, ეს ოქმი მე არ გადამითვალიერებია და საჭიროც არ იყო ჩემთვის, რადგან ჩვენ კი არა ვართ ოქმების შექმნილი, არამედ ოქმებია ჩვენი შექმნილი. შეიძლება იქ მართლაც იყოს შეცდომა ან გამოშვება რამესი. მხოლოდ ფაქტი ის არის, რომ ყველა იმის ძალით, რაც აქამდის მოხდა, ამ რწმუნებულობაში რწმუნებულის სურვილი გამოყვანილი იყო მთელი სისრულით. მეორე მიზეზად ხელშეკრულობის უვალდებულობისა იმას ასახელებენ, ვითომც მე მარტო პირადად მემოქმედნოს, მაშინ როდესაც ამორჩეული იყო სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. მაგრამ აი საქმე როგორ იყო: ამორჩეული ვიყავით: თავ. გ. ჭავჭავაძე, თავ. დ. ჩოლოყაშვილი და მე.

თ. ჭავჭავაძე არ წამოვიდა და ჩვენ ორნი წავედით. თ-დ ჩოლოყაშვილი ხელის-მოწერამდე ყველა საქმეში იღებდა მონაწილეობას. საქმეების გამო მას პეტერბურგიდან წამოსვლა მოუხდა, მაგრამ წასვლის წინ წერილი დამიტოვა, სადაც განაცხადა, რომ ჩემი მოქმედების გეგმის თანახმაა. ეს წერილი დეპუტატთა საკრებულოს საქმეებშია. შეიძლება განა ამის შემდეგ ლაპარაკი ჩემს თვითნებობაზე? მაგრამ შეიძლება იფიქროთ, თ-დ ჩოლოყაშვილის წამოსვლის შემდეგ გეგმა შევსცვალე: აქ დაბრუნების შემდეგ, თ-დ ჩოლოყაშვილმა ხელი მოაწერა იმ მოხსენებას, რომელიც მე დეპუტატთა საკრებულოს წარვუდგინე და განაცხადა, რომ სრულიად მეთანხმება. ვის უნდა დავუჯეროთ ეხლა? აქ თ. ჩოლოყაშვილი გვეუბნება, მე ვეთანხმებიო და სხვა ვიღაც ელემენტი კი ამტკიცებს: არა, შენ არ ეთანხმებიო. რასაკვირველია გამეფებული იქნება ის იურიდიული „ბურუსი“, რომელზედაც ა. ყანჩელი გვითითებდა, როდესაც საქმის ყველა მონაწილე შეთანხმდა და ვიღაც სხვა ელემენტი კი გვეუბნება: არა, თქვენ არ შეთანხმებულხართო. როგორ გამოვერკვეთ ამ ბურუსიდან? იურიდიულ კომისიას ეკითხებიან: სავალდებულოა თუ არა თავად-აზნაურობისათვის, და სწორია თუ არა ის იურიდიულად, ისინი კი გვიპასუხებენ: არა, რადგანაც ფული არა გვაქვსო. მათ აძლევენ იურიდიულ კითხვას, ისინი კი ფინანსიურ პასუხს იძლევიან. შეიძლება ამის შემდეგ გაკვირდეს ბ-ნი ყანჩელი, თუ ამ საქმის იურიდიულ საკითხებში „ბურუსი“ იქნება“.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით ლაპარაკობს აქციების დამატებით გამოშვებაზე. სწორი ციფრებით ხელში და წესდებაზე დამყარებით ამტკიცებს, რომ უწინარეს ყოვლისა დამატებით აქციების გამოცემას სრულიად არ ექნება ადგილი, რადგანაც გზის საშენებელ შესაძლებელ გადამეტებით ხარჯების დასაფარავად „ბევრი სხვა სახსრებიც აქვს. თუ რომ ეს კიდეც მოხდა, ამ შემთხვევაშიაც შეუძლებელია ითქვას, რამდენი იქნება თანხა, ამიტომ სრულიად უსაფუძლოა იმის განცხადება, როგორც ამას იურიდიული კომისია შვრება, რომ აზნაურობას შეძლება არა აქვს დამატებითი აქციების ნახევრის ყიდვისა.

„იურიდიული კომისია და მასთან ერთად დღეს ბარათაშვილი და ყანჩელი ამბობენ, ხელშეკრულობა არ უნდა მიიღოთო, არავითარ სარგებლობას არა ხედავენ კახეთის რკინის გზის შენებაში. თავ. ბარათაშვილი პირდაპირ ამბობს: არ არის დარწმუნებული იმაში, რომ კახეთის რკინის გზა სარგებლიანია. ბ-ბო! რწმენა თუ ურწმენობას ადგილი აქვს რელიგიოზურ დოგმატებში, სიყვარულისა და მუდმივი ერთგულების ფიცში და სხვა; მაგრამ იქ კი, სადაც ლაპარაკი ციფრებზე, ვერ წარმომიდგენია, რა ადგილი უნდა ჰქონდეს რწმენას. ციფრები ციფრებითვე უნდა იქმნას უარყოფილი, და არა სულიერი განწყობილებით.

აქ ეჭვი გამოსთქვეს კახეთის გზაზე ბარგის გადაზიდვის რაოდენობის გამოკვლევის შესახებ. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეს გამოკვლევა მოახდინეთ თქვენ—თავად-აზნაურობამ, შემდეგ ყველა ადგილობრივმა დაწესებულებამ, სახელმწიფო მამულების გამგეობამ, საკანტროლო პალატამ, სააქციზო გამგეობამ და სხვებმა. ეს ციფრები შეამოწმეს პეტერბურგში საქმის სპეციალისტებმა და ბოლოს გამორკვეულ იქმნა გზის შემოსავლიანობა. ეს ციფრები და შედეგები 5—6 წლის წინედ არის შედგენილი, ისინი კარგად არის დასაბუთებული და ცხადად მტკიცდება ჩვენი უკანასკნელი გამოკვლევით, რომლის მიხედვით კახეთის რკინის გზა არ იქნება საზარალო. მაგრამ ვიფიქროთ, რომ ეს ციფრები არ არის სწორი. ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის იმდენი მნიშვნელობა გზის შემოსავალს არა აქვს, რამოდენიც აქციების შემოსავალს. შეიძლება ბევრს ეს აზრი პარადოქსად ეჩვენოს. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ შეიძლება კახეთის გზას შემოსავალი არა ჰქონდეს, მაგრამ აქციებს კი შემოსავალი ჰქონდეს, რადგანაც ისინი უზრუნველყოფილია მთავრობისაგან, ისევე როგორც ობლიგაციები. მე შემიძლიან ამის დამტკიცება ახალი რკინის გზების შესახებ კომისიის ჟურნალით და წესდებით“. შემდეგ ორატორს მოჰყავს საბუთები იმის შესახებ, რომ აქციები ყოველ გარემოებაში შემოსავლიანი იქნება. გარდა ამისა ამ აქციების ფასი თანდათან აიწევს, იმითი რომ წესდების ძალით მათთვის არსებობს გასასტუმრებელი ფონდი, ამ ფონდის შემწეობით თავად-აზნაურობამ რომ დახარჯოს აქციების შეძენისათვის 550 ათას მანეთს, საექსპლოატაციო დროს გასულს, ე. ი. მას შემდეგ რაც გზით 81 წელს ისარგებლებს, ხაზინიდან მიიღებს 950 მანეთს ნაღდად, ტომრით“...

ა. დიასამიძე „გთხოვთ ეს სიტყვები ოქმში შეიტანოთ.

თავ. **დ. გურამიშვილი.** „ამ სიტყვების მაგიერ უმჯობესი იქნება ოქმში დაიწეროს წესდების ის ადგილი სადაც ეს აზრია გატარებული მე ვთხოვ ბარათაშვილს, ნუ აურევს ერთმანეთში, რომ აქციებისა და რკინის გზის შემამულების შორის დიდი განსხვავება.

გარდა ამისა; აქ ითქვა, მთავრობა ამ გზას წაგვართმევს, თქვენ თითონ წაიკითხეთ კომისიის დადგენილების ჟურნალის 30 გვერდზე, სადაც ნათქვამია, რომ ამ შემთხვევაშიაც კი, როდესაც გზა უშემოსავლოა, ზარალს [illegible] ზღავს და აქციებს შემოსავალი მაინც ექნება“. ორატორი დაწვრილებით ეხება, თუ რითი ხელმძღვანელობს მთავრობა ამ შემთხვევაში. შემდეგ, გარდა ჩამოთვლილ სარგებლობისა, ორატორი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს არა პირდაპირ სარგებელს, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენს საზოგადოებას გზაზე მოსამსახურეთა ჯამაგირების სახით 200,000 მანეთი შემოუვა ყოველ წლივ.

„ამ შემთხვევაში ა. ყანჩელი სწორედ არა ხსნის წესდების მუხლს, სადაც მოსამსახურეთა დანიშნის საკითხში გამგეობის დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი. მიუხედავად ყველა ამ სარგებლობისა, შეიძლება თავად-აზნაურობას ძალა არ შესწევდეს ამ საქმის შესრულებისათვის. თავ ვ. მაჩაბელის სიტყვით ისეთი მდგომარეობაა, რომ თუ ჩვენ ამ საქმეს შევასრულებთ, ყველა ჩვენ და ჩვენი შვილებით შიმშილობისაგან გავხმებით. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა გაცილებით უმჯობესია“. ორატორი ამტკიცებს, რომ თავად-აზნაურობა ადვილად დასძლევს იმ მსხვერპლს, რომელსაც ეს დიდებული საქმე მოითხოვს.

„ამ საქმეში არის ერთი მხარე, რომელსაც არავინ შეჰხებია. ამ მხარეს უპირველესი მნიშვნელობა აქვს. თავ. ბარათაშვილმა მე კახეთის რკინის გზის საქმის ფანატიკოსი მიწოდა, მაგრამ იგი შესცდა. მე გზის ფანატიკოსი არა ვარ, როგორც ასეთისა; გზა ჩემთვის მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება მისაღწევი სხვა ჩვენ წინ მდგომარე მოვალეობის შესასრულებლად. ჩვენს წინაშე სდგას მოვალეობა ვიზრუნოთ არა მარტო საქმის ეკონომიურ მხარეზე, არამედ სხვაზედაც, კახეთის იმ ეთნოგრაფიულ ფიზიონომიის დაცვაზე, რომელიც ნანდერძევია ჩვენ წინაპრითაგან; ამისათვის მათ არა ერთი მსხვერპლი შეუწირავთ. მიმოიხედეთ გარშემო. გადახედეთ ბალკანეთის კუნძულის ეროვნებათ, თუ რა მსხვერპლი მოაქვთ მათ იმისათვის, რომ თავისთვის უზრუნველჰყონ ასპარეზი თავისი მშრომელი ხალხისათვის. კახეთის რკინის გზა გვაძლევს ჩვენ პატარა ეკონომიურ დამოუკიდებლობას. თუ თქვენა გსურთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა როგორც წინაპართა ისე მომავალ თაობის წინაშე, თუ გსურთ, რომ თქვენი სინიდისი ფაქიზი იყოს მათ წინაშე, ნუ გაუშვებთ ხელიდან ამ საქმეს, იმიტომ რომ თუ ერთხელ დაჰკარგეთ, კვლავ ველარ დაიბრუნებთ და აი, ამ მოვალეობის შესრულების წინ თავ. ი. ბარათაშვილი და ა. ყანჩელი გვგზავნიან ჩვენ ნოტარიულ კანონებთან რწმუნებულობის შესახებ და შემოსავალ-გასავალის დავთრებთან. მე, რასაკვირველია წავალ იქ ცნობებისათვის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა დავეკითხები იმ კანონებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენნი წინაპარნი, რომელნიც არაფეს ერიდებოდნენ, რათა ჩვენთვის გადმოეცათ

იადრინცევი მარტო არა ყოფილა. მას მალე მიმდევრები გაუჩნდნენ. დაარსდა წრე, რომელმაც წინ წამოაყენა ციმბირის განსაკუთრებული ინტერესები და მიზნად დაისახა ციმბირის ოლქობრივი თავისუფლების მოპოვება. ეს წრე იღვწოდა არა მარტო კულტურული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, არა მარტო თავისი სპეციფიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვისაც. იადრინცევის წრე პოლიტიკური წრე იყო. 1864 წელს მთავრობამ აღმოაჩინა სეპარატისტების სარევოლუციო წრეები ომსკსა, ტომსკსა, კრასნოიარსკსა და ირკუტსკში. იპოვნეს ორი პროკლამაცია, რომელშიაც ახალგზრდები მოუწოდებდნენ ციმბირის საზოგადოებას, შეიარაღებული აჯანყებით გამოვეყოთ რუსეთსა და დამოუკიდებელი სახელმწიფო შევქმნათო. ეს პირვანდელი გატაცება ციმბირის სეპარატისტებისა იმდენად საყურადღებოა, რომ ცოტა დაწვრილებით გადმოგცემთ, თანახმად იმ ცნობებისა, რომლებსაც გვაძლევს გ. ნ. პოტანინი თავის საგულისხმიერო წერილებში. ერთი პროკლამაცია ომსკში იპოვეს, მეორე—ირკუტსკში. კადეტმა თავისი ძმის, ყაზახების ოფიცრის უსოვის საწერ მაგიდის უჯრაში იპოვა ხელთნაწერი, მოწოდება, ციმბირის მცხოვრებთადმი მიმართული. დაინტერესებულ კადეტს არაფერი უთქვამს ძმისთვის, აუღია ხელთნაწერი და კორპუსში წაუღია. უფროსებმა შემთხვევით აღმოაჩინეს იგი და ჟანდარმებს გადასცეს. მაშინვე გაჩხრიკეს უსოვისა და ყველა იმისი ამხანაგ-მეგობრების სახლი. ამ ჩხრეკის დროს ირკუტსკში მეორე პროკლამაცია აღმოაჩინეს. მაშინვე დაატუსაღეს რამდენიმე კაცი და ყველანი ომსკში გაგზავნეს. ერთბაშად მოედო ხმა ციმბირის ყველა ქალაქებს. ჟანდარმებმა ძალიან მყვირალა სახელი უწოდეს ამ საქმეს: „საქმე ბოროტმოქმედთა შესახებ, რომლებმაც განიზრახეს ციმბირის ჩამოშორება რუსეთისაგან და ჩრდილოეთის ამერიკის შერთებული შტატების მსგავსი რესპუბლიკის დაარსება“. პოტანინი ამ პროკლამაციებსა და მთელ მაშინდელ მოძრაობას დიდს მნიშვნელობას არ აძლევს და ჰგონია, რომ თვით იადრინცევმა, რომელიც უსოვს იცნობდა, არაფერი იცოდა ამ პროკლამაციების შესახებ.

იადრინცევმა შეაწყო წრეები, რომელთა მიზანიც იყო კულტურული მუშაობა ციმბირის განსაკუთრებულ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. პოტანინს ჰგონია, რომ იადრინცევის წრე პოლიტიკური იდეალებით არ იყო გატაცებული. ადვილად შესაძლებელია იადრინცევის იმ დროინდელი ჯგუფი ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტია არა ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკური ტენდენციები რომ უსათუოდ ექნებოდა, ეს სჩანს, ერთის მხრით, იადრინცევის მოქმედების მთელი შინაარსიდან და, მეორის მხრით, იქიდან, რომ იადრინცევი სოციალისტი იყო.

მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა. შეიცვალა რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურა, შეიცვალა არა რუსთა პოლიტიკური აზროვნებაც. სეპარატიზმი ნიადაგს ჰკარგავს. მომავალი განთავისუფლების იმედები ცხადჰყოფს, რომ ადგილობრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლად საჭირო არა ჩამოშორება რუსეთისაგან, არა მექანიკურად კავშირის გაწყვეტა მეტროპოლიასთან, არამედ ისეთი ურთიერთობის დამყარება, როდესაც ადგილობრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც შესაძლებელი გახდება და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც არაფერი დააკლდებოდა. საჭირო იყო განსაზღვრული პირობებით შეთანხმება და არა განცალკევება. ციმბირის მოწინავე ინტელიგენციის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაც ამ გზით წავიდა. გარდა პატარ-პატარა რეფორმებისა, რომელთა განხორციელებაც ჯერ ისევ იადრინცევს მიაჩნდა საჭიროდ, ციმბირმა უნდა მიიღოს განსაკუთრებული საოლქო საკანონმდებლო დაწესებულება—ციმბირის საოლქო სათათბირო. ეს უნდა იყოს უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება, ციმბირის პარლამენტი, რომელიც ყველა ადგილობრივ საკითხებს გაუძღვება და დააკმაყოფილებს. პირველად ეს აზრი ცოტად თუ ბევრად ოფიციალურად დაიბადა მაშინ, როდესაც ციმბირში გაიმართა თათბირები საერობო დებულებათა პროექტების განსახილველად. ამის შემდეგ ციმბირის განსაკუთრებული საკანონმდებლო დაწესებულების შემოღების საკითხი პრესაშიაც აღიძრა და ფართო მასის კუთვნილებად გახდა. შესაძლებელია დღეს ისე ძლიერად აღარ ისმოდეს ეს ლოზუნგი, მაგრამ ეს ჰხდება იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც საზოგადოდ ვეღარ ისმის ძლიერი სიტყვა რუსეთში. ავტონომისტურ მოძრაობას ციმბირში ღრმადა აქვს გამჯდარი ფესვები. დეცენტრალისტურ აზრებს თავისი ისტორიული წარსული აქვთ და ამიტომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემდეგში, როდესაც შავ-ბნელი რეაქცია გაივლის და დადგება ხანა დაპირებულ რეფორმათა განხორციელებისა, ციმბირის ავტონომიის საკითხი მთელი თავისი სიმწვავით არ წარუდგება რუსეთის საზოგადოებას. დეცენტრალისტური მოძრაობა, ციმბირის ავტონომიის იდეა ფართო მასაშიაც პოპულიარული ჰხდება.

ამით შეგვეძლო დაგვესრულებინა ციმბირის ავტონომისტური მოძრაობის მოკლე მიმოხილვა, ერთი გარემოება რომ კიდევ არ იყოს. როგორც მოგახსენეთ, ციმბირში სცხოვრობენ არა მარტო რუსეთიდან გადასახლებული რუსები, რომელთაგან განსაკუთრებული კულტურული ტიპი შეიქმნა, არამედ ეგრედ წოდებული „ინოროდცები“. ციმბირის „ინოროდცები“ ნამდვილი ეთნოგრაფიული კალეიდოსკოპია. საინტერესო უნდა იყოს, როგორა სწყვეტავს ციმბირის მოწინავე პროგრესიული ინტელიგენცია ამ საკითხს. მოვისმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ პოტანინი, რომელსაც განსაკუთრებულის ყურადღებით ეკიდება ციმბირის ინტელიგენცია და რომლის ნაწერებიც გულწრფელი დეკლარაციაა ჭეშმარიტი დემოკრატისა. „რაიცა შეეხება ციმბირის ინოროდცებს,—სწერს პოტანინი ერთს თავის თხზულებაში,—დაარსება საოლქო სათათბიროსი მათთვისაც სასარგებლოა, რადგანაც სახელმწიფო სათათბიროში ძნელია ციმბირის ყველა პატარა ტომთა წარმომადგენლობის მოწყობა. საოლქო სათათბიროში კი შესაძლებელია წარმომადგენლები ჰყავდეს ყველას, ისეთს ტომთაც კი, რომელნიც დღეს გადაგვარების გზას ადგანან. საჭიროა ამისთანა ტომთა მოთხოვნილებანი თავის დროზე დაკმაყოფილდეს, რომ არ გადაგვარდნენ და დედამიწის პირიდან არ აღიგავონ. „ინოროდცების“ ინტერესები უკეთესად იქნება დაცული მაშინ, როდესაც მათ თვალყურს ადევნებს ორი სათათბირო,—სახელმწიფო და ადგილობრივი. როცა საოლქო სათათბირო იქნება, მთელი მეურნეობა იმის ხელში გადავა. ციმბირის საოლქო სათათბიროში უმრავლესობა რუსების ხელში იქნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ინტერესები რუსებისა და ინოროდცებისა ერთმანეთს დაეტაკება და რუსების უმრავლესობა ყოველთვის ვერ დაიცავს სამართლიანობას. მაშინ ინოროდცებს უფლება ეძლევათ დადგენილებანი ცენტრალურ სათათბიროში განასაჩივრონ. იგი ინოროდცებით დასახლებული ტერიტორიის სიმდიდრეთა ექსპლოატაციით დაინტერესებული აღარ იქნება და ამიტომ მიუდგომლობას გამოიჩენს. უამისოდ კი, თუ საოლქო სათათბირო არ იქნება, მთელი მეურნეობა სახელმწიფო სათათბიროს ხელში დარჩება და ანგარული პოლიტიკა, რომელიც მოსალოდნელია მომავალ საოლქო სათათბიროში, შესაძლებელი და აუცილებელიც იქნება სახელმწიფო სათათბიროში. მაგრამ ამ შემთხვევაში ინოროდცებს მფარველი აღარ ეყოლებათ“.

ასეთი ღრმად ჰუმანიური და დემოკრატიულია პოტანინის აზრები. ციმბირის მოწინავე საზოგადოება ფიქრობს არა მარტო ციმბირის საოლქო ინტერესებზე, არამედ იმ საცოდავ მიყრუებულ ტომთათვისაც, რომელთაც დღეს უდიდესი ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა მედიდურად დასცქერის ზევიდან და არ უნდა „დაბალი მოდგმის“ ტომების ინტერესები მხედველობაში მიიღოს. მაგრამ ციმბირის საზოგადოებრივი აზრი ამნაირ დეკლარაციით არა კმაყოფილდება. არსებობს პროექტები იმისა, თუ როგორ უნდათ უზრუნველჰყონ განსაზღვრული იურიდიული ნორმებით ციმბირის ინოროდცების თავისუფალი ეროვნული განვითარება.

ციმბირის საერთო სათათბიროს გარდა უნდა არსებობდეს პატარ-პატარა ავტონომიური სათათბიროები თვითეულ ტომისთვის ცალკე. ასე, მაგალითად, ბურიატებისთვის უნდა არსებობდეს ბურიატების სათათბირო, ყირგიზებისთვის—ყირგიზების სათათბირო და სხვა. ეს რამდენადმე უზრუნველჰყოფს მათს თავისუფლებას და ცენტრალისტურ სახელმწიფოსთან შედარებით ხომ ისეთს უპირატესობას ანიჭებს, რანაირიც დღევანდელ, კაპიტალისტურ პირობებში, იდეალად უნდა ჩაითვალოს.

ასეთია ავტონომისტური მოძრაობა ციმბირისა, რომელიც ბევრს შესაძლებელია მხოლოდ ბოროტ-მოქმედთა და კატორღელთა საცხოვრებელ ადგილად მიაჩნია.

(შემდეგი იქნება)

არ. ჯ—შვილი.

ის ფიზიონომია, რომელსაც ეხლა ვატარებთ. შემდეგშიაც ამ ფიზიონომიის დაცვის ხელის შეწყობა—აი ამ ხელშეკრულობის იდეია! და იმის მაგივრად რომ ჩემს ფანატიკოსობას დასცინონ, ან იძიებდნენ სწორედ არის თუ არა დასმული რწმუნებულობაში მძიმე ან რომელიმე ასო, თავ. ბარათაშვილსა და ა. ყანჩელს უფრო შეშვენის ამომიდგნენ აქ გვერდში, და ჩემთან ერთად დაიცვან ეს ხელშეკრულობა.

შ. ალექსი-მესხიშვილი. ჩვენ გვიხდება გადაწყვეტა ისეთი სერიოზული საკითხისა, რომ ყოველი სხვა მოსაზრება უნდა უკუვაგდოთ და ყველაფერი დავამყაროთ მხოლოდ გონიერებაზე და საღ კრიტიკის მოსაზრებაზე. ყველა ისინი, როელთაც კარგად არ გაუთვალისწინებიათ ის შედეგები, რომელიც ხელშეკრულების უარყოფას მოყვება, შეიძლება თავად-აზნაურობას იქითკენ ეწევიან, რომ გადაახდევინონ 550 ათასი მანეთი, სასამართლოს ხარჯების მიმატებით, თუ საქმე აქამდის მივიდა. მე ვემხრობი იურიდიულ კომისიისა და თავ. ი. ბარათაშვილის აზრს, რომ რწმუნებულობა, რომელიც მიეცა თავ. გურამიშვილს უკანონო იყო. მაგრამ საკითხის მდგომარეობაში ისეთი მომენტი დადგა, რომლის არსების დროს შეუძლებელია საკითხის ერთი ხელის მოქნევით გადაწყვეტა. გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ დეპუტატთა საკრებულოს რწმუნებულობა ჰქონდა, გადაეწყვიტა საკითხი როგორც საგუბერნიო კრებას. მიუხედავად იმისა, რომ რწმუნებულება, ჩემის აზრით, უკანონო იყო, 6 აპრილის ხელშეკრულება დეპუტატთა საკრებულომ თავისათვის სავალდებულოდ სცნო. თავ. ი. ბარათაშვილმა და კ. ყანჩელმა განაცხადეს, 29 აპრილის დადგენილება, ე. ი. ხელშეკრულობის მიღება, მეცხრე ტომის მიხედვით მოხდა. მაგრამ საქმეს ეგრე ჩვენ ვუცქერით, მხოლოდ ეს კონტრაგენტისათვის სავალდებულო არ არის. ტყუილად ვფიქრობთ, რომ იურისტები მხოლოდ ტფილისში არიან. იქ იმყოფებიან ისეთი იურისტები, რომელთა შედარებით ჩვენ არაფერი ვართ. მე მგონია რუსეთ-აზიის ბანკსაც ჰყავს კარგი იურისტი, რომელსაც ეს ხელშეკრულობა ტყუილად არ მიუღია. აქ დგება მეორე საკითხი—რანაირ ეთიკურ მდგომარეობაში ჩავარდება ქართველი თავად-აზნაურობა, თუ იმ ხელშეკრულობას არ მიიღებს, რომელიც დასდო ბანკთან მისმა რწმუნებულმა, რომელსაც შეიძლება უკანონო რწმუნებულობის ქაღალდი ჰქონდა, მაგრამ მაინც მისი წარმომადგენელი იყო. სახელმწიფო საბჭოშიაც და ყველგან თავ. დ. გურამიშვილი მიდიოდა როგორც აზნაურობის რწმუნებული, ყველგან მას ამ სახით ღებულობდნენ. ნ. ი. საგინაშვილი კი როგორც გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი, სხვა და სხვა საქმეებს და შუამდგომლობებს არდგენდა ხოლმე. და უეცრად თავად-აზნაურობა უარს ამბობს იმ ხელშეკრულობაზე, რომელიც პირველმა მეორესაგან მიღებულ რწმუნებულობის ძალით მოახდინა? რას დაემსგავსება თავ.-აზნაურობის პრესტიჟი არა მხოლოდ თავად-აზნაურობისა, არამედ ადამიანობის ეთიკის მიხედვით? ნუ დაივიწყებთ, ბ-ბო, რომ ჩვენ ვაიძულეთ ბანკი მოესპო საქმე სახელმწიფო საბჭოში. აი საქმის ის ფორმალური მხარეები, რომელთაც საჭიროა ყურადღება მიექცეს.

ყველაზე საყურადღებოდა ვსთვლი საკითხს, მივიღოთ თუ არა ხელშეკრულობა. საზოგადოებისა თუ ეროვნების ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მომენტები, როდესაც გამგებლობის ორგანოებმა და საზოგადო ორგანიზაციებმა ყოველი სულიერი და მატერიალური ძალღონე უნდა მოიკრიფონ, რათა ყველაფერი გაითვალისწინონ მოქმედების სწორი გზაზე დასაყენებლად. სრულიად ვეთანხმები თავ: დ. გურამიშვილს და ვამბობ: დიახ, ეს მომენტი—სასიცოცხლო-სასიკვდილოა. ჩვენი მუდმივი ცხოვრების ვაჭრულ ანგარიშებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გაგახსენებთ ბ—ბო, რომ როდესაც დიმიტრი ყიფიანი ტფილის. სადგილ-მამულო ბანკს აარსებდა, მაშინაც გაისმოდა საწინააღმდეგო ხმები. მხოლოდ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მოწინააღმდეგენი შემცდარნი იყვნენ და რომ მათგან უარყოფილი დაწესებულება დღემდისაც მშვენივრად არსებობს და სასიცოცხლო ძალა შეაქვს ჩვენ საზოგადო და კულტურულ დაწესებულებებში. როდესაც რომელიმე მხარეში ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი სწყდება, ადგილი არა აქვს ვიწრო ანგარიშებს. ვიმეორებ, ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალები, ეხლანდელი მომენტის ყოველი შეძლება გავითვალისწინოთ და საქმე ისეთ მაგარ საძირკველზე ავაშენოთ, რომ მას არაფრის არ ეშინოდეს. უნდა მოვახდინოთ ეს, რათა, თავ გურამიშვილის არ იყოს, მომავალ თაოპასა და ჩვენს წინაპართა წინაშე პირნათლად წარვსდგეთ.

ამ რიგად წმინდა ფორმალური მოსაზრებანი უნდა ჩამოვაშოროთ. ჩემის აზრით სულ ერთია, თავად-აზნაურობას ისედაც მოუხდება პასუხის მიცემა. აქ ის აზრი გამოითქვა, და ჩემის აზრით სრულიად ეთანხმება ჭეშმარიტებას, რომ სწორი საქმეებიც ხანდახან წაიგება ხოლმე. საშიშია მათთან სასამართლოში წასვლა. დასასრულ დარწმუნებული ვარ, რომ ხელშეკრულობა თავად-აზნაურობამ უნდა დაამტკიცოს.

ბალკანეთი და სახელმწიფოები

ბულგარელებისა და ბერძნების შეტაკება.

ბულგარეთის „დეპეშათა სააგენტომ“ გამოაქვეყნა მთავარი შტაბის მოხსენება: „დილის 5 საათზე 9 მაისს საბერძნეთის ჯარმა, რომელიც სოფ. რადოლევოში იდგა, ასტეხა არტილერიისა და თოფის სროლა ბულგარელების წინააღმდეგ, რომელნიც მდ. ანგისტას ნაპირებზე ბანაკობდნენ. ბულგარელებმა პირველად ხმა არ გასცეს, მაგრამ, როდესაც ყუმბარებმა რკინის გზა და ტელეგრაფი დააზიანა, ბულგარელებმა ფიცხელი სროლითვე უპასუხეს და იერიშის მიტანის შემდეგ აიძულეს იგინი ორფანოს ყურისკენ დაეხიათ.

ბერძენთა სამზადისი.

სალონიკიდან იუწყებიან, რომ იქ მივიდა თავისი შტაბით მეფე კონსტანტინე, რომელიც თვით გაუწევს ხელმძღვანელობას ბერძენთა ჯარს მაკედონიაში. საბერძნეთის ფლოტი გავიდა სალონიკის ნავთსადგურიდან. „ცეიტ“-ი გადმოგვცემს, რომ ბერძნები საზღვაო დემონსტრაციას ამზადებენ კავალისა და დედეაგაჩის ნავთსადგურების წინააღმდეგ.

სერბია-საბერძნეთის შეთანხმება.

როგორც გაზ. „ტაიმსი“ გადმოგვცემს, საბერძნეთ-სერბიის შორის მართლაც არსებობს კერძო შეთანხმება მაკედონიის ტერიტორიის გასაყოფად ბულგართა სურვილის წინააღმდეგ. ამ შეთანხმების ძალით სერბიელები და ბერძნები ვალდებული არიან, არ შეუშვან ბულგარელები იმ ადგილებში, რომელიც მდ. ვორდარსა და ბრეგალნიცას გაღმა მდებარეობს. სალონიკი, ფლორინა, ვოდენი და მთელი მიდამო პრესნის ტბამდე ქ. კავალითა და სერესით საბერძნეთს უნდა ერგოს, ხოლო სტრუგა, ოხრიდა, მონასტირი და პრილეპი სერბიას უნდა დარჩეს.

საბერძნეთის პოლიტიკა.

სარწმუნო ადგილებიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მეფის გიორგის სიკვდილის შემდეგ, პირველ-მინისტრის ვენიზელოსსა და მეფე კონსტანტინეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ვენიზელოსი მეგობარია ბალკანეთის სლავიანებისა, მომხრეა პოლიტიკურ დათმობათა და საბერძნეთის თანდათანი ზრდისა. მეფე კონსტანტინეს აზრით კი, ათინის მთავრობამ მხოლოდ მცირე, რამ უნდა დათმოს, რადგან იარაღით მოპოვებულ ნაყოფის თვით უმნიშვნელო ნაწილის დაკარგვაც კი დიდ ზარალს მიაყენებდა დიდი საბერძნეთის აღორძინების იდეას.

მოკავშირეთა წარმომადგენლების თათბირი.

მოკავშირეთა წარმომადგენლების კრებაზე ბერძნებმა და სერბიელებმა კომპრომისული წინადადება წარადგინეს იმ პარაგრაფის შესახებ, რომელიც მოკავშირეთა მონაწილეობას ეხება პარიზის ფინანსიურ კონფერენციაში. მათ მოითხოვეს, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებს დიდ სახელმწიფოების დელეგატთა თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეთ ისეთ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომელნიც ბალკანეთის კავშირის პირდაპირ ინტერესებს ეხებიან; ხოლო ისეთ საკითხებში, რომელთაც აგრე რიგად დიდი მნიშვნელობა არ ექნება მათთვის, იგინი სათათბირო ხმის უფლებითაც კმაყოფილი იქნებიანო. ბულგარელების აზრით, სახელმწიფოთა გადაწყვეტილება შეურყეველია და ამიტომ ამგვარ მოთხოვნილების დაჟინება მხოლოდ ზავის ხელშეკრულობის გაჭიანურება იქნებოდა, რაც სრულიად ხელსაყრელი არ არის ბულგარეთისათვის.

იტალია და კუნძულები.

„მორნინგ პოსტ“-ის რომაელ კორესპონდენტს გაუგია, რომ იტალია ინგლისის დაჟინების წყალობით შესაძლებელია დასთანხმდეს დათმობის გზაზე დადგომას ეგეის ზღვის კუნძულების საკითხში, ხოლო ალბანეთის სამხრეთ საზღვრების საკითხში კი მისი გადაწყვეტილება შეურყეველია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის ის ადგილი, რომელიც კუნძულ კორფუს პირდაპირ მდებარეობს. ამ კუთხის საბერძნეთისათვის გადაცემას იტალია საშიშრად სთვლის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხსენებული ადგილი ნეიტრალურად იქნება გამოცხადებული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

15 მაისი.

უცხოეთი.

რომი. ტურინის კონსორციუმმა 25,000 მუშას ლოკაუტი გამოუცხადა. ლოკაუტის მიზეზი 7,000 მუშათა გაფიცვა იყო.

ვენა. „კორესპონდენც-ბიურო“ იტყობინება: მეფის ახალმა მოადგილემ მიიღო სამ სარწმუნოების მიტროპოლიტები. ბაასში კორიტოვოიმ იმედი გამოსთქვა, რომ სამღვდელოება დაეხმარება მას ქვეყნის დამშვიდებაში და მცხოვრებთა კეთილდღეობის დამკვიდრებაში.

ათინა. 11 მაისის შემდეგ ბულგართა და ბერძნებს შორის დიდი შეტაკება არ მომხდარა.

სტამბოლი. ერთი კვირის წინად ჩათალჯის პოზიციების ჯარის უმრავლესობამ სურვილი გამოსთქვა სახლში წასვლისა. მთავრობამ სამხედრო გუბერნატორი ჯემალ-ბეი გაგზავნა ჯარის დასამშვიდებლად. ჯემალ-ბეიმ ჯარი დაამშვიდა. მთავრობა ფრიად შეწუხებულია სირიაში ავტონომიურ მოძრაობის გაძლიერებით. გაზეთი „გაიტი“ ურჩევს მთავრობას დააკმაყოფილოს არაბთა კანონიერი მოთხოვნილებანი.

ლონდონი. რეიტერის ცნობით გრეის უბაასნია დელეგატებთან და ელჩთა თათბირის დადგენილებანი გადაუცია მათთვის. გრეის უთქვამს: უსარგებლოა ინგლისში მათი დარჩენა, ვინც ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად არ არის მზად. ბალკანეთის ზოგიერთ წრეში დიდად გაკვირვებულნი არიან ამ განცხადებით მათის აზრით ეს დიდ სახელმწიფოთა შუამავლობა კი არ არის, არამედ საქმეში ჩარევაა.

ბუქარესტი. სენატის მეორე საიდუმლო სხდომაზე მაიორესკუმ აღნიშნა რუსეთის ცდა რუმინიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაიორესკუმ სთქვა: სილისტრია ფრიად საჭიროა რუმინიისთვის.

ბელგრადი. (პაშიჩმა?) სკუპშჩინაში სერბია ბულგარეთის ურთიერთობაზე მოხსენება წაიკითხა. სკუპშჩინამ მოხსენება აღფრთოვანებით მიიღო.

ბუქარესტი. სენატის საიდუმლო სხდომაზე ლიბერალთა ლიდერმა ბრატიანომ სთქვა: ბალკანეთის ომის დროს რუმინიას მობილიზაცია უნდა მოეხდინა. კონფერენციის გადაწყვეტილება არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ მისი მიღება საჭიროა. მაიორესკუმ უპასუხა, რომ არ შეიძლებოდა სამობილიზაციოდ 200 მილიონის ხარჯი დაგვეკისრა მცხოვრებთათვის.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, ლონდონში დეპეშა მოსულა: გეშოვი და პაშიჩი [illegible] ურთმანეთს შეხვდებიან სერბია-ბულგარეთის ურთიერთობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

რუსეთი.

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი და მისი ამხანაგი ჯუნკოვსკი ვლადიმირში წავიდნენ.

პეტერბურგი. პეტერბურგის ქალაქის საბჭო შეუდგა მოურავის კანდიდატების არჩევას ნაცვლად შუბინ-პოზდნეევისა. 61 ბარათი მიიღო სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფმა ტოლსტოიმ.

პეტერბურგი. „რუსკ. მოლვის“ რედაქტორი დააჯარიმეს 500 მანეთით.

წერილი რედ. მიმართ

ბატ. რედაქტორო! „ტფილისის ჟურნალის“ რედაქციამ განიზრახა მეორედ გამოცემა ჩემი წიგნისა: „დახასიათება და მოგონება“ („Характеристики и воспоминанія“) და სურს ჩაურთოს შიგ სურათები იმ მოღვაწეთ, რომელნიც მოხსენებულნი არიან ამ წიგნში. სამწუხაროდ, გამომცემელს აკლია ლავრ. არდაზიანის („მეჯღანუაშვილის“ ავტორის) და ზურ. ანტონოვის (დრამატურგის) სურათები. თუ ვისმეს მოეპოვება ეს სურათები, გამომცემელი, თქვენის გაზეთის საშუალებით, უმორჩილესად სთხოვს მიაწოდოს მას დროებით, ქვემო მოყვანილ ადრესით, რითაც დიდად დაგვავალებს. ადრესი: ტფილისი, პასკევიჩის ქუჩა, 6. გ. თუმანიშვილს.

გ. თუმანიშვილი.

გაზეთი „თემი“ ახალ ამბავში აცხადებდა, რომ 22 მაისში შოთა რუსთაველის საღამოზე მეც ვკითხულობ მოხსენებას. რადგან მორიგი ნომერი „თემისა“ დაიგვიანებს, გამოვა ლექციის წინა დღეს, ამიტომ ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მოხსენებას არა ვკითხულობ. მართალია, სახალხო უნივერსიტეტის გამგემ მითხრა წამეკითხა მოხსენება—მაგრამ სრულიად შეუძლებლად ვთვლი, ეხლა მაინც, ჩემის ცოდნით ამ საქმის შესახებ საჯაროთ გამოსვლას. ალბათ პატივცემული რედაქცია იმ წინასწარ სურვილს ბ. გამგესას ემყარებოდა, როცა ამ ცნობას ბეჭდავდა.

პატივისცემით **შალვა ქარუმიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

სნეულებს
სპერმინ-პელია!

სპერმინ-პელიათი მ[ა]რგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობადა ვსთვლით, გავაფრთხილოდ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელია“-სთან** და ხშირად შეიცავენ ჯან-საღობისათვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტინიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან და სხვ.,** მხოლოდ **სპერმინ პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.

✦ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** ✦ და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ **„სპერმინს“** ახალ ლიტერატურასთან ერთად.

„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

ორგანოტერაპევტის ინსტიტუტი პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი“.
მისი იმპერატორატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**
Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუღალტერო კურსები
საზაფხულო მეცადინეობით
ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.
პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე).
მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე). 280

კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, იყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. **„კავკაზის“** რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

კბილის **ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 [illegible] ავადმყ. არ იღებს. [illegible] ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომანბ-თხიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, აბაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

მემნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½-10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და [illegible].
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა. ცხვირისა და ყელისა.
მ გ. აბეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. აბეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი,** მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-5.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
„დ ა ს ჯ ი ლ ნ ი“
სამ-მოქმედებიანი პიესა **ბარიესი,** თარგმანი **ვანო საათაშვილისა.**
წიგნის მთავ-რი ს წყ-ბი არის ქ. ყარსში მთარგმნელთან:
ყ ა რ ს ი. ვანო საათაშვილი. 1110

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

„ოქროს ვერძი“
ყოველ-კვირეული ჟურნალი **„ოქროს ვერძი“ გამოვა 17 მაისიდან.** ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, კრიტიკას და ხელოვნების ყველა დარგებს. თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერლები.

მისამართი: Кутаисъ, Казаковкій пер., Д. ЯШВИЛИ.

მიიღება ხელის მოწერა შემდეგ ფასებში:

1 წ.	6 თ.	3 თ	1 თ.	საზღვარგარედ ერთი-ორად.	ცალკე № 10 კ.
5 მ	3 მ.	1-75	50 კ		

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯ ა ი ა ნ ი.**
1203

მუდამ დღე მოგვდის
საკუთარი სამრეწველოებიდან
ახალი თევზი:
მტკვრისა, თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა ქიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.